ურთიერთშეთანხმების აქტი

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **#2017/162-1**
(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000039)
(30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები და 30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა)

ქ. თბილისი 14 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ **სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით, მეორეს მხრივ **შპს „იუ–ჯი–თი“** ს/ნ204892964 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, **ზაალ აბაშიძის** სახით, ვხელმძღვანელობთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახლმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 აპრილის N10 ბრძანებით დამტკიცებული „სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდეების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის N690 განკარგულების, კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და საქართველოსში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, შემდეგში ერთად წოდებული როგორც "მხარეები" ცენტრის მიერ **საგრანტო პროექტი - „თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი როგორც საისტორიო წყარო“ YS-2016-11** ფარგლებში 2017 წლის 27 ივლისს გაფორმებული N2017/162 ხელშეკრულების მე-12 მუხლის, 12.2 პუნქტის საფუძველზე შევტანხმდით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილების განხორციელებაზე:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 1 (ერთი) ცალი A4 ფორმატის „B“ ტიპის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის 1ცალის ღირებულება - 493,93 ლარი, და მისთვის განკუთვნილი 1 (ერთი) ცალი ტონერიანი კარტრიჯი. 1ცალის ღირებულება 78,66 ლარი, სულ 78,66 ლარი, სულ ჯამი 572,59 ლარი (შემდგომში „საქონელი“) (CPVკოდი: 30232110 და 30125100) სახელმწიფო შესყიდვა დანართი #1–ის, დანართი#2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.“

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3,1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) **572,59 ლარი (ხუთას სამოცდათორმეტი ლარი და 59 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.“**

3. დანართი N1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ბრენდისა და მოდელის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი	HP LaserJet Ultra MFP M134fn	1	493.93	493.93
2	ორიგინალი კარტრიჯი	HP 33A Original Black LaserJet Toner Cartridge	1	78.66	78,66
				სულ დღგ-ს ჩათვლით:	572,59

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.

5. წინმდებარე ურთიერთშეთანხმების აქტი წარმოადგენს 2017 წლის 27 ივლისის N2017/162 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

შემსყიდველი:

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერტა ეროვნული ცენტრი
ს/ნ 211368474
წარმოდგენლი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი მ. ალექსიძის ქ. №1/3
ტელეფონი: 2 474242
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22,

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი

ს/კ – 204892964
წარმოდგენილი ერმილე სულაძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა
ტელეფონი: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№ GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22,